მთლიანი შიდა პროდუქტი, 2017

ეკონომიკური მიმოხილვა და ინდიკატორები

Issue #103/ 28.05.2018

წინასწარი მონაცემების მიხედვით, 2017 წელს საქართველოს ეკონომიკა ხასიათდება 5.0%-იანი ზრდით, რაც ყველაზე მაღალი დაფიქსირებული რეალური ზრდის ტემპია უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში. საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) დინამიკის ანალიზი მნიშვნელოვანია მაჩვენებლის გასულ წლების მონაცემებთან შესადარებლად. სექტორული ანალიზი კი გვეხმარება 5.0%-იანი ზრდის მიზეზების იდენტიფიცირებაში. დამატებითი ანალიზისთვის შერჩეულია 2017 წლის სამი ყველაზე მზარდი სექტორი: სასტუმროები და რესტორნები, მშენებლობა და საფინანსო საქმიანობა.

მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა და რეალური ზრდის ტემპი, 2013-2017



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2010 წლიდან, საქართველოში ვაჭრობის სექტორს მშპ-ში ყველაზე დიდი წილი უკავია. 2017 წელს აღნიშნულმა სექტორმა მშპ-ს 17.6% შეადგინა.

რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება ფიქსირდება საქართველოს მშპ-ს სტრუქტურაში (დათვლილია მიმდინარე ფასების გამოყენებით) 2017 და 2016 წლების მონაცემების შედარებისას. ყველაზე მეტად მშპ-ს სტრუქტურაში სოფლის მეურნეობის წილი შემცირდა (-0.77 პროცენტული პუნქტი), ხოლო ყველაზე მეტად მშენებლობის სექტორის წილი გაიზარდა (0.80 პროცენტული პუნქტი). კერძოდ, სოფლის მეურნეობის წილის კლება მშპ-ში გამოწვეულია კლებით ბოსტნეულის მოყვანაში (-2.7%), მეცხოველეობაში (-2.1%) და სასოფლო სამეურნეო მომსახურებაში (-6.3%). რაც შეეხება მშენებლობის სექტორის წილის ზრდას, იგი გამოწვეულია ზრდით ნაგებობათა მშენებლობასა და სამოქალაქო-საინჟინრო სამუშაოებში (26.6%).

ათი ყველაზე მზარდი[3] სექტორი მშპ-ში, 2017



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

წინასწარი მონაცემების მიხედვით, 2017 წელს, საქართველოს მშპ-მ მიმდინარე საბაზრო ფასებში 38.0 მილიარდი ლარი შეადგინა. 2017 წელს, მშპ-ს რეალურმა ზრდის ტემპმა 5.0%-ს მიაღწია, რაც 2016 წლის ანალოგიურ მონაცემს 2.2 პროცენტული პუნქტით აღემატება. აღსანიშნავია, რომ 2012 წლის შემდეგ ეს ყველაზე მაღალი რეალური ზრდის ტემპია.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) მსოფლიო ეკონომიკური მიმოხილვის[1] მიხედვით, საქართველოს 2017 წლის მშპ-ს რეალური ზრდის ტემპი აღემატება წინასწარ განსაზღვრულ მშპ-ს სამუალო რეალური ზრდის ტემპის მაჩვენებლებს შემდეგი დაჯგუფებებისთვის: მსოფლიო (3.8%), *emerging markets and developing economies* (4.8%) და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (2.1%). თუმცა, საქართველოს მშპ-ს რეალური ზრდის ტემპი ჩამორჩება *emerging and developing Europe*[2]-ის სამუალო მაჩვენებელს, რომელიც IMF-ის მიხედვით 2017 წელს 5.8%-ს შეადგენს.

მშპ-ს სტრუქტურა, 2017



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს მშპ-ს რეალური ზრდის სექტორული ანალიზი გვეხმარება 2017 წლის ყველაზე მზარდი სექტორების და შესაბამისად, ქართული ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელი ძალის იდენტიფიცირებაში. ყველაზე დიდი ზრდის ტემპის მქონე სამი სექტორია სასტუმროები და რესტორნები (11.24%-იანი ზრდა 2016 წელთან შედარებით), მშენებლობა (11.16%) და საფინანსო საქმიანობა (9.17%).

საინტერესოა, რომ 2017 წელს მხოლოდ სამი სექტორი ხასიათდება უარყოფითი ზრდის ტემპით: პროდუქციის გადამუშავება შინამეურნეობების მიერ (-2.73%), სოფლის მეურნეობა (-2.69%) და შინამეურნეობების საქმიანობა საკუთარი მოხმარებისთვის (-1.79%).

[1] http://www.imf.org/external/datamapper/NGDP_RPCH@WEO/OEMDC/ADVEC/WEOWORLD
[2] თურქეთი, პოლონეთი, რუმინეთი, უნგრეთი, ბულგარეთი, სერბეთი და ხორვატია
[3] რეალური ზრდის ტემპი



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

11.16%-იანი ზრდით, 2017 წლის საქართველოს მშპ-ს მეორე ყველაზე მზარდი სექტორი მშენებლობაა. 2017 წელს მშენებლობის სექტორის წილმა მშპ-ში ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია (9.3%).

მიუხედავად იმისა, რომ 2017 წელს, მშენებლობის სექტორის გამოშვება მცირე ზრდის ტემპით (1.1%) ხასიათდება სექტორის გამოშვება მაინც ინარჩუნებს მზარდ დინამიკას 2014 წლიდან.

წინა წელთან შედარებით, 2017 წელს, უცხოელი პირების წილი მშენებლობის სექტორში 16.6%-ით გაიზარდა. მიუხედავად ამისა, უკანასკნელი ექვსი წლის განმავლობაში, ადგილობრივი კერძო პირების წილი მთლიანი სექტორის გამოშვებაში პირველად 2017 წელს გაიზარდა (53.6%-დან 62.0%-მდე).



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

[4] მოცემულია მუდმივ ფასებში

[5] ეროვნულ ანგარიშთა სისტემა 2008, გვ. 375

2017 წელს, სასტუმროების და რესტორნების სექტორის წილი მშპ-ში 3.0%-ია, რაც 2005 წლის შემდეგ ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. 11.24%-იანი ზრდით, 2017 წლის მშპ-ს ყველაზე მზარდ სექტორს სასტუმროები და რესტორნები წარმოადგენს. საინტერესოა, რომ სექტორის ქვეკატეგორიების მიხედვით, რესტორნები მხოლოდ 2.4%-ით გაიზარდა, ხოლო სასტუმროები 23.6%-ით. მნიშვნელოვანი ცვლილება ფიქსირდება სასტუმროების და რესტორნების გამოშვების თანაფარდობაში. 2013 წელს სასტუმროების გამოშვება რესტორნების გამოშვების 56.5%-ს შეადგენდა, ხოლო 2017 წელს იგივე მაჩვენებელმა 84.8%-ს მიაღწია.

სასტუმროების და რესტორნების სექტორის გამოშვება მზარდი დინამიკით ხასიათდება. 2017 წელს გამოშვებამ 1.6 მილიარდი ლარი შეადგინა. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში სასტუმროებისა და რესტორნების გამოშვების



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2017 წელს, საფინანსო საქმიანობაში[5] 9.17%-იანი ზრდა დაფიქსირდა, რაც 2017 წლის საქართველოს მშპ-ს მესამე ყველაზე მზარდი მაჩვენებელია.

2017 წელს, საფინანსო საქმიანობა პირველად მოხვდა მშპ-ს ათ ყველაზე დიდ სექტორს შორის. საქართველოში, საფინანსო საქმიანობა ხასიათდება სტაბილური მზარდი დინამიკით როგორც მოცულობის, ასევე მშპ-ში წილის მიხედვით. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი თხუთმეტი წლის განმავლობაში საფინანსო საქმიანობა საქართველოს მშპ-ს ერთადერთი სექტორია, რომლის წილიც მშპ-ში ყოველწლიურად იზრდება. ასევე საინტერესოა, რომ უკანასკნელი თხუთმეტი წლის განმავლობაში საფინანსო საქმიანობას ყოველთვის ქონდა დადებითი ზრდის ტემპი, რომელიც საშუალოდ წლიურ 15.6%-ს შეადგენს.

ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები	2013	2014	2015	2016	2017*
ნომინალური მშპ (მლნ აშშ დოლარი)	16139.9	16507.8	13988.1	14377.9	15164.5
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)	3599.6	3676.2	3766.6	3864.6	4078.5
მშპ-ს რეალური ზრდა (%)	3.4%	4.6%	2.9%	2.8%	5.0%
ინფლაცია	-0.5%	3.1%	4.0%	2.1%	6.0%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ აშშ დოლარი)	1020.6	1818.0	1652.5	1602.9	1861.9
უმუშევრობის დონე (%)	16.9%	14.6%	14.1%	14.0%	13.9%
სახელმწიფო საგარეო ვალი (მლნ აშშ დოლარი)	4202	4199	4314	4515	5177
სიღარიბის დონე (ფარდობითი)	21.4%	21.4%	20.1%	20.6%	-